საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/100

ქ. ბათუმი 18 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე ბსუ-ს სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის შესყიდვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით დამტკიცდა ,,საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები და წესი“ (შემდეგში ,,წესი“). დადგენილების პირველი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად:

,,4. საქართველოში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს მის დაწესებულებაში ჩარიცხული უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა ან უზრუნველყოს ასეთი დაზღვევის ფლობა აღნიშნული წესის შესაბამისად, აქტიური სტუდენტური სტატუსის ფლობის სრული პერიოდით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს წინასწარ მიეცეთ უფლება, შესაბამისი მომსახურების შესყიდვები განახორციელონ გადაუდებელი აუცილებლობით ან/და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 [1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით (საქართველოს მთავრობასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე) ან შესყიდვა განახორციელონ გადაუდებელი აუცილებლობით.“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

,,2. საგანმანათლებლო დაწესებულება:

ა) ვალდებულია სასწავლო პროცესში არ დაუშვას ის უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტი, რომელიც არ ფლობს წინამდებარე მუხლით დადგენილ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისს (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში);

ბ) ვალდებულია აღრიცხოს უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები, რომლებიც გადიან სწავლებას აღნიშნულ დაწესებულებაში (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში) და გადასცეს შესაბამისი მონაცემები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;

გ) უფლებამოსილია უცხოელი სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის არფლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი;

დ) შიდა მარეგულირებელ აქტში ასახავს აღნიშნული წესით, სტუდენტისათვის დაზღვევის ვალდებულებას.“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის („6. პასუხისმგებლობა დადგენილების დარღვევისათვის“) თანახმად:

,,1. წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას.

2. წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.“

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 10 სექტემბრის MES 0 20 0000811689 და 2020 წლის 6 ნოემბრის MES 5 20 0001075357 კორესპონდენციის საფუძველზე გამოიცა ,,საქართველოს ტერიტორიაზე

უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე ბსუ-ს სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის №01-02/145 ბრძანება, რომლის თანახმად ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდისა (მათ შორის ინგლისურენოვანი გვერდის) და სხვა ელექტრონული სერვისების საშუალებით განემარტა, რომ ვალდებულნი არიან საქართველოში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დაზღვეული ჰქონდეთ ჯანმრთელობა და უბედური შემთხვევა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული პირობებით. ბსუ-ს სტუდენტის დაზღვევის პოლისი უნდა ფარავდეს სადაზღვევო შემთხვევებს (,,სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში უეცარი ავადმყოფობით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო მომსახურებისა და რეპატრიაციის ხარჯები“), ამავე წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტების დაცვით.

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის №01-02/145 ბრძანების თანახმად, ბსუ-ს სტუდენტებს, რომლებიც 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ან დაგეგმილი ჰქონდათ ამავე სემესტრის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, განემარტა, რომ ვალდებულნი იყვნენ არაუგვიანეს 2020 წლის 20 ნოემბრისა, წარმოედგინათ ამ ბრძანებაში აღნიშნული სადაზღვევო პოლისის ასლი ბსუ-ს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე - info@bsu.edu.ge.

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის №01-02/145 ბრძანების თანახმად დაევალა:

1. ბსუ-ს ფაკულტეტებს - წარმოედგინათ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი, წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული კატეგორიის, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირების სახელობითი სია (სტუდენტის სახელი, გვარი/პასპორტის ნომერი/ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი, თარიღის/ბსუ-ს სწავლის დაწყების სემესტრის მითითებით, ასევე სტუდენტის დაზღვევის პოლისის ნომრისა და მოქმედების ვადის მითითებით - არსებობის შემთხვევაში);

2. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს - ა) დაამუშაოს ბსუ-ს ფაკულტეტებიდან/ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრიდან და ბსუ-ს სტუდენტებიდან მიღებული წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაცია, მათი საქართველოში ყოფნის და სადაზღვევო პოლისის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

ბ) ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ წარმოადგინოს **სტუდენტთა საერთო სია**, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბსუ-ს სტუდენტების შესახებ ბსუ-ში არსებული ინფორმაციასთან ერთად (მათ შორის ბსუ-სა და გადამყვან კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2020 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესისათვის საქართველოში ჩამოყვანილი სტუდენტების სადაზღვევო პოლისების შესახებ).

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის №01-02/145 ბრძანების მოთხოვნათა შესრულების მიზნით წარმოდგენილი იქნა 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - 2020 წლის 18 ნოემბერს MES 5 20 0001105137 სამსახურებრივი ბარათი; 2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 2020 წლის 24 ნოემბერს MES 1 20 0001115709 სამსახურებრივი ბარათი ; ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან 01 დეკემბერს MES 5 20 0001142550 სამსახურებრივი ბარათი, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტიდან 2020 წლის 16 დეკემბრის MES 4 20 0001204776 და MES 8 20 0001204752 სამსახურებრივი ბარათები.

ბსუ-ს რექტორის ბრძანების თანახმად სტუდენტთა ინფორმირების საფუძველზე მიღებული და დამუშავებული მონაცემების თანახმად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა შეისყიდოს ,,საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის მომსახურება და შემდეგში განისაზღვროს ბსუ-ს მიერ გადახდილი დაზღვევის საფასურის სტუდენტის მიერ გადახდევინება.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილების, ,,საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 10 სექტემბრის MES 0 20 0000811689 და 2020 წლის 6 ნოემბრის MES 5 20 0001075357 კორესპონდენციის და საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე ბსუ-ს სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური

შემთხვევის დაზღვევისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის №01-02/145 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინე გიორგაძის 2020 წლის 18 ნოემბრის MES 5 20 0001105137, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის 2020 წლის 24 ნოემბერს MES 1 20 0001115709, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გაიოზ ფარცხალაძის 01 დეკემბრის MES 5 20 0001142550 და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2020 წლის 16 დეკემბრის MES 4 20 0001204776 და MES 8 20 0001204752 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას (ან საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი) უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე ბსუ-ს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის **(შემდეგში „ბსუ-ს სტუდენტი“)** ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

   ა) ბსუ-ს მიერ განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის მომსახურების“ შესყიდვა, ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესში აღნიშნული პირობებით (დაზღვევის პოლისის მოქმედების ვადა (ხანგრძლივობა) არ უნდა იყოს ერთ სემესტრზე ნაკლები;

   ბ) დაზღვევის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე (სტუდენტების ვინაობა, პასპორტის ნომრები, საგანმანათლებლო პროგრამა, ბსუ-ში ჩარიცხვის წელი, სტუდენტის სტატუსი (აქტიური), სწავლების წელი და საჭირო ინფორმაცია);

   გ) დაზღვევის მომსახურების შესყიდვამდე განხორციელდეს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციისა ან/და სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ სტუდენტის ინფორმირება: წინამდებარე გადაწყვეტილების და შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ბსუ-ს მიერ სტუდენტის დაზღვევისათვის გადახდილი თანხის სტუდენტის

მიერ შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე გადახდის ვალდებულების შესახებ.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება თარგმნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა ნანა მაზმიშვილმა და თარგმანი ვებგვერდზე განათავსოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა.
3. წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს რექტორის მოადგილემ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.
4. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ნანა მაზმიშვილს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**